რას გვპირდებიან, რას მივიღებთ?!

საქართველოს პარლამენტში უახლოეს პერიოდში შევა კანონპროექტი *„ფინანსური სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“*. 9 იანვრის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინიტრმა *ლადო გურგენიძემ* განაცხადა, რომ *მთავრობის ინიციატივა ორ ძირითად საკითხს ეხება: 1. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბებაა და 2. საქართველოში საერთაშორისო ფინანსური ცენტრის შორმირება.* გარდა ამისა, იგეგმება ფინანსური სექტორის გედამხედველობის სამსახურის შექმნა, რომელიც მოიცავს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებას, ასევე, კომერციულ ბანკებში დიდი წილის მქონე პირების გაკონტროლებას, ეროვნული ბანკის ფუნქციების გრდას ინფლაციური სტაბილიზაციის შენარჩუნების საკითხებში და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობის ამაღლებას. პარალელურად დაგეგმილია ინვესტორებზე, ბიზნესმენებზე და მეწარმეებზე საგადასახადო წნეხის შემცირება, რაშიც ნაგულისხმევია, რომ გადასახადის დონე საბანკო სისტემაში 25-დან 15%-მდე შემცირდეს.

კანონპროექტების პაკეტი 22 ძირითად კანონს და მათგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს მოიცავს და მისი განხილვა პარლამენტში, პრემიერის განცხადებით, იანვრის მეორე დეკადაშივე უნდა დაწყებულიყო.

როგორც ჩანს, შემოთავაგებული კანონპროექტი მნიშვნელოვნად პრეტენზიულია და ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარებას ისახავს მიზნად.

ხშირად საზოგადოება ფაქტის წინაშე დგება და არაა ინფორმირებული მოსალოდნელ ცვლილებებზე. უკვე გატარებული რეორგანიზაცია კი მოუმგადებელი ან არაეფექტური აღმოჩნდება ხოლმე. იმისათვის, რომ ნაკლები იყოს შეცდომები, მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შესახებ კომპეტენტური აზრი წინასწარ უნდა ჩამოყალიბდეს.

მოსალოდნელ ახალ ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებით უკვე არსებობს არაერთმნიშვნელოვანი წარმოდგენა და შეფასებები. ჩნდება კითხვები, რაზეც საზოგადოებამ პასუხი უნდა მიიღოს.

რას ფიქრობენ ზემოაღნიშნულზე ქართველი ექსპერტები?

1 **ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნაზე საუბარი არაერთხელ დაიწყო და პათოსი სხვადასხვა მიზეზის გამო მინელდა. ოპონენტები მიიჩნევდნენ, რომ პროექტი ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო. დღეს რა შეიცვალა, რა წინაპირობები არსებობს აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის. ხომ არ გამოიწვევს ეს ერთი რეგიონის ეკონომიკური გაძლიერების ხარჯზე რეგიონალურ პოლარიზებას ქვეყანაში შესაძლო სოციალური, თუ პოლიტიკური შედეგებით და რა ნიშნით გამოირჩა ფოთი, მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით არანაკლები (მეტი თუ არა) შესაძლებლობები აქვს ანაკლიას (არსებობს კიდეც ეკონომიკურად არგუმენტირებული შესაბამისი პროექტი) ან, თუნდაც ბათუმს?**

2 **რას მოუტანს საქართველოს საერთაშორისო ფინანსური ცენტრის ფორმირება (პრემიერის თქმით, მსგავსი სტრუქტურა დსთ-ს სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში არ არსებობს, რომელიც სტრატეგიული დანიშნულების ფონდის შექმნას გულისხმობს, სადაც სარეაბილიტაციო და რეგენერაციული პროექტების ფინანსების აკუმულირება მოხდება, რაც ფაქტობრივად, პროფიციტული ბიუჯეტის დაკანონებას გულისხმობს); პროფიციტული ბიუჯეტი**

ნიშნავს თუ არა, რომ მთავრობა ვერ ახერხებს ბიუჯეტში აკუმულირებული თანხების სწორად დამისამართებას იმის გათვალისწინებით, რომ თვით მოწინავე ეკონომიკურ ქვეყნებსაც კი არა აქვთ პროფიციტული ბიუჯეტები; და საერთოდ, პროფიციტული ბიუჯეტი არის თუ არა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი?

3 რას ნიშნავს „ფინანსური სექტორის ზედამხედველობის სამსახური“? გამართლებულია თუ არა კომერციულ ბანკებში დიდი წილის მქონე პირების გაკონტროლება და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სახელმწიფო აპირებს უხეშად ჩაერიოს კერძო საკუთრებაში? შეიზღუდება თუ არა ამით კომერციული ბანკების თავისუფლების ხარისხი და რამდენად წაადგება ეს სამსახური საბანკო სექტორის შემდგომ სტიმულირებას?

4 პრემიერის თქმით, დაუშვებელი იქნება ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი წლის შედეგების მიხედვით და თუ ეს მაჩვენებელი 10%-ს გადააჭარბებს, მიღებული იქნება დაუყოვნებელი ზომები ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადადგომის ჩათვლით. ხომ არ ნიშნავს ეს მთელი პასუხისმგებლობის ერთ პირზე გადაბრალების მცდელობას, მაშინ, როცა ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და როგორ შეიძლება ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობაზე საუბარი იმ პირობებში, როცა ქვეყნის ეროვნულ ბანკს „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი“ მართავს?

5 ინვესტორებზე, ბიზნესმენებსა და მეწარმეებზე საგადასახადო წნეხის 25%-დან 15%-მდე შემცირება — რა არის ეს – მთავრობის მორიგი პოპულისტური ინიციატივა, ბიზნესის ხელშეწყობა, თუ რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობამდე მიახლოვების სურვილი?

ლადო პაპავა: ეს უმეცრებისა და დანაშაულის გზვარგე გაკეთებული პროექტია!

1 მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ გამარჯვებული საპრეზიდენტო კანდიდატი იყო **მიხეილ სააკაშვილი** (ჯერ კიდევ ხმების დათვლის პროცესში), მან გააკეთა სერიოზული განცხადება მთავრობის გუნდის შეცვლისა და ახალი ეკონომიკური პროგრამის მომზადების შესახებ. კერძოდ, **მიხეილ სააკაშვილმა** მთავრობას დააბრალა ყველაფერი ის ცუდი, რაც აქამდე ხდებოდა ქვეყანაში (თითქოს ეს მთავრობა მისი დანიშნული არ იყო და არ იცოდა, რას აკეთებდა), ჯოხი გადატეხა რომელიღაც X-პლანეტიდან ჩამოფრენილ ცუდ მთავრობაზე და ბრძანა, რომ ეს ცუდი მთავრობა სერიოზულად უნდა გადახალისდეს. თქვა ისიც, რომ უნდა მოიწვიოს ექსპერტები, რომლებიც 50-დღიან საპრეზიდენტო პროგრამას დაწერენ. საინტერესო აქ ის გახლავთ, რომ როდესაც **მიხეილ სააკაშვილი** გადადგა პრეზიდენტობიდან, მის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის

დროს წამოცდენილ ნებისმიერ ინიციატივას მთავრობა დავალებად იღებდა, ხოლო ტელეეთერით გახმოვანებული ახალი ეკონომიკური პროგრამის მომზადებისთვის საჭირო ექსპერტების მოწვევა მთავრობისთვის დავალება, რატომღაც, არ აღმოჩნდა. თავად განსაჯეთ: არავინ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლის მეორე დღესვე შეიკრიბა მთავრობა და განაცხადა, რომ ახალი ეკონომიკური რეალობის ამსახველი 50-დღიანი პროგრამა მას უკვე აქვს! ანუ, არანაირი ექსპერტი მოსაწვევი არ ყოფილა და რომ პროგრამა უკვე გამზადებულია! სააკაშვილმა ასევე თქვა, რომ აპირებს მთავრობის წევრების შეცვლას. მაგრამ მანამ მთავრობის წევრები შეიცვლებიან (ჟურნალის გამოსვლისთვის, შესაძლოა, ეს ცვლილებები უკვე განხორციელებულიც იყოს, თუმცა, ჯერჯერობით ამ საკითხზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ), ჩემთვის ნიშანდობლივია შემდეგი – **თუ ეს მთავრობა ცუდი იყო, რატომ აწერინებ მას სამომავლო პროგრამას და ამ ცუდი მთავრობის დაწერილი პროგრამით რატომ უნდა იმუშაოს ახალმა მთავრობამ?!** მოკლედ, ძალიან კურიოზული მდგომარეობაა. წარმოიდგინეთ – ინაუგურაციის შემდეგ **მიხეილ სააკაშვილმა** პარლამენტს უნდა წარუდგინოს მთავრობის ახალი შემადგენლობა. ახალმა მთავრობამ საპარლამენტო ნდობის მოსაპოვებლად უნდა წარმოადგინოს სამოქმედო პროგრამა – ამ ძველის დაწერილი პროგრამა უნდა წარადგინოს ახალმა მთავრობამ?! ეს ყველაფერი თითქოს ალოგიკურია, ოღონდ, მხოლოდ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის, თუმცა, სრულიად ლოგიკურია იმ სისტემისათვის, რომელშიც ჩვენ ვართ, რადგან ეს ყველაფერი ლოგიკური გაგრძელებაა იმ ოთხწლიანი საპრეზიდენტო მმართველობისა, რაც ქვეყანაში იყო.

რაც შეეხება **50-დღიან საპრეზიდენტო პროგრამას და მთავრობის ახალ ეკონომიკურ ინიციატივებს, შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალურ პროგრამებთან გვაქვს საქმე** – მართალია, პრემიერ-მინისტრმა **ლადო გურგენიძემ** ტელეეთერში ამ პროგრამის შემცველი ფურცლების დასტა ააფრიალა (ბუნებრივია,

> *თავისუფალი ეკონომიკური ზონა პრაქტიკულად არის უმეცრების და დანაშაულის ზღვარზე გაკეთებული პროექტი და „ბენდეფინიმიკის" ერთ-ერთი გამოვლინება.*

ტელეკამერა ამას ვერ გვიჩვენებდა), რეალურად ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ, ჯერჯერობით, ხელმისაწვდომი არ არის. აქ ერთი რამ არის ცხადზე ცხადი – **ეს პროგრამა არანაირ ექსპერტებს არ დაუწერიათ!** გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ 50-დღიანი პროგრამა არის ვირტუალური (ანუ პროგრამა, რომელზეც ყველა ლაპარაკობს, თუმცა, მასზე დეტალური საუბარი შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი თვალით არავის უნახავს), შესაბამისად, იძულებული ვარ კომენტარებიც ვირტუალური გავაკეთო და მკითხველს წინასწარ მოვუხდი ბოდიშს, თუ აღნიშნულ დოკუმენტში რაიმე ისე არ აღმოჩნდა, ძალიან კრიტიკული და მომთხოვნი ნუ იქნება ჩემი კომენტარის მიმართ.

> *თუ ეს მთავრობა ცუდი იყო, რატომ აწერინებ მას სამომავლო პროგრამას და ამ ცუდი მთავრობის დაწერილი პროგრამით რატომ უნდა იმუშაოს ახალმა მთავრობამ?!*

სამთავრობო ინიციატივის ერთ-ერთი პირველი პუნქტი შეეხება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, მიღებულია კანონი **სპეციალური ინდუსტრიული ზონის** შესახებ. აქ ახალი ნამდვილად არაფერი არ არის. ეს საკმაოდ გაცვეთილი თემაა და დიდად არც მინდა მკითხველის ყურადღება დავღალო. ვიტყვი მხოლოდ ერთს – ეს არის უმეცრებისა და დანაშაულის ზღვარზე მყოფი პრობლემა! ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ქვეყანა კიდევ უფრო ჩამორჩენილი გახდეს – განვითარდება ფოთი, დაზარალდება სრულიად საქართველო! მე ფოთის განვითარების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მთელი საქართველო უნდა ვითარდებოდეს და არა რომელიმე ერთი ქალაქი სხვების ხარჯზე. რატომ ვამბობ ამას: **ქვეყანაში, სადაც არის ინვესტიციური შიმშილი (და ამაზეც არაერთგზის მითქვამს), რომელიმე ტერიტორიისთვის რაიმე დამატებითი შეღავათების მიცემა გამოიწვევს მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში ინვესტიციური შიმშილი კი კიდევ უფრო გაიზრდება და გეტყვით, რატომ. წარმოიდგინეთ, თუ ვინმეს უნდა საქართველოში ინვესტიციის განხორციელება, რატომ შევა ის ქუთაისში ან რუსთავში, თუკი არსებობს ისეთი ტერიტორია, სადაც დაწესებულია განსაკუთრებული შეღავათები. ეს მარტო უცხოელ ინვესტორს არ ეხება, ადგილობრივიც ასე მოიქცევა. ვთქვათ, ვარ საქართველოში მცხოვრები მეწარმე, მაქვს აწყობილი წარმოება და გადავწყვიტე გაფართოება, რატომ გავფართოვდები თბილისში ან ზესტაფონში,**

ფოთში გაფართოვება უფრო მომგებიანი არ იქნება ჩემთვის?! ეს ელემენტარული ეკონომიკური ლოგიკაა, აღარაფერს ვამბობ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კანონი ქმნის მთელ რიგ საფრთხეებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ჩვენი ეთნიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ასევე ქმნის სირთულეებს ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებთან. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა, პარლამენტის ტრიბუნიდანაც და ტელეეთერითაც მომეცა ამის თქმის საშუალება, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ამ თემის ხელახალი ინიცირებით პრემიერ-მინისტრი **ლადო გურგენიძე** არის წარმატებული გამგრძელებელი იმ „**ბენდუნომიკის**“ ერთ-ერთი ხაზისა, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა საქართველოში („ბენდუნომიკა“ შემთხვევით არ გამოვიყენე, ეს არის ბატონი **სოსო ცისკარიშვილის** ექსკლუზიური ტერმინი და ვთვლი, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ძალიან სწორი შეფასებაა). ვიმეორებ, **თავისუფალი ეკონომიკური ზონა პრაქტიკულად არის უმეცრების და დანაშაულის ზღვარზე გაკეთებული პროექტი და „ბენდუნომიკის“ ერთ-ერთი გამოვლინება.**

2 საქართველოში საერთაშორისო ფინანსური ცენტრის ფორმირებას მთლიანობაში მივესალმები, მაგრამ უნდა ვნახოთ კონკრეტული დოკუმენტი. ჯერჯერობით იდეები ვირტუალურადაა წარმოდგენილი და თუ ჩვენც შესაბამისად ვიმსჯელებთ, **არის მოსაზრება, თითქოს ამ ცენტრის ფორმირებისას შეღავთები უნდა მიეცეთ უცხოურ საფინანსო კომპანიებს. თუ ეს მართლაც ასე უნდა იყოს და ქართულ საფინანსო ორგანიზაციებზე დაწესებული შეღავათები არ გავრცელდება, მე ამ იდეას მხარს არასოდეს დავუჭერ.** ფინანსური ცენტრის ჩამოყალიბება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შეღავათები მიეცემა განურჩევლად ყველას (თუმცა, კიდევ ვიმეორებ, მე არ ვიცი, შეიძლება, მთავრობა მართლაც ასე აპირებს). ასეთი ცენტრები მსოფლიოში არსებობს და წარმატებითაც მუშაობს. მიმაჩნია, რომ აქ უნდა ამუშავდეს ზიარჭურჭელის პრინციპი, ანუ, **არ შეიძლება ადგილობრივ ფინანსურ ორგანიზაციას ჰქონდეს ცუდი პირობები და უცხოურს კარგი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა ისე, რომ ქართული კომპანიები გაიტანენ ფულს საზღვარგარეთ და მერე უკანვე შემოიტანენ.** ასეთი გამოცდილება ჩვენ გვქონდა 1995 წელს და ამ პრაქტიკაზე უარი 1996 წლიდან ვთქვით. ჩვენმა მთავრობამ უცხოური კომპანიები მხოლოდ შეღავათებით შეიძლება მოხიბლოს, რაც შეეხება სანდოობის ხარისხს, ეს ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა. **გურგენიძე** ტელევიზიით გამოსვლისას ხშირად იმეორებდა, **რომ ქვეყნის განვითარებისთვის მთავარი სტაბილურობაა. მე ეს ლოზუნგი აბსოლუტურად მცდარად მიმაჩნია. სტალინის დროინდელ საბჭოთა კავშირზე სტაბილური ქვეყანა რომელი იყო, მაგრამ მაშინ სტაბილური დიქტატურა იყო ჩამოყალიბებული. ამიტომ ჩემთვის გამონათქვამი – მხოლოდ სტაბილურობა – არ არის მთავარი. სტაბილურობა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ აუცილებელია სამართლიანობა, რომელიც დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, ადამიანის უფლებების დაცვა, კერძო საკუთრების უფლების დაცვა, კანონის უზენაესობა და ა.შ. ანუ „სტაბილურობა, სტაბილურობა, სტაბილურობა!“ ძალიან საშიში ლოზუნგია, რომელმაც შეიძლება დიქტატურამდე მიგვიყვანოს და ამის მაგალითები არსებობს. სტაბილურობა კარგია, მაგრამ არა ყველაფრის ხარჯზე.**

და კიდევ ერთი ინიციატივა, პრემიერ-მინისტრმა **„ბენდუნომიკაში“** საკუთარი წვლილი შეიტანა და თქვა, რომ კანონით უნდა იქნეს დადგენილი ბიუჯეტის მუდმივი პროფიციტულობა. ესეც დიდი გაუგებრობაა. იმისდა მიხედვით, რა კონკრეტულ ვითარებაში ვარდებიან ქვეყნები ამა თუ იმ წელს, გეგმავენ ბიუჯეტს და ეს ბიუჯეტი შეიძლება იყოს დეფიციტური ან პროფიციტური. ეს გამომდინარეობს კონკრეტული, მიმდინარე ამოცანებიდან. ბიუჯეტი თავისთავად კანონია. პროფიციტურობის დაკანონება დაახლოებით, იცით, რას ნიშნავს? – მივიღოთ კანონი იმის შესახებ, რომ ადამიანი უნდა იყოს კეთილი, ან კანონმა განსაზღვროს, რომ საწარმოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოგება... ეს, რბილად რომ ვთქვათ, სისულელე და უცოდინრობის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ამ ფონზე ერთ მეტად საინტერესო საკითხზე მინდა კომენტარი გავაკეთო: პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 2008 წლის ბიუჯეტი არის 275 ათასი ლარით პროფიციტური. ეს დათვლის ახალი მეთოდოლოგიით, ხოლო თუ ძველი მეთოდოლოგიით დავითვლით, ჩვენი **ახალი ბიუჯეტი 189 მილიონი ლარით დეფიციტურია!** აქ ერთი ხუმრობა

> *მთავრობამ უნდა დაასაბუთოს, რა არის იმაში ცუდი, რომ საბანკო ზედამხედველობა იყოს ეროვნულ ბანკში, აწუ რა მოხდა ამ სფერეოში ისეთი, რასაც ეროვნულმა ბანკმა ვერ გააერთვა თავი.*

მახსენდება: შვილი წავიდა საზღვარგარეთ სასწავლებლად, მიიღო უცხოური განათლება და დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. გახარებულმა მშობლებმა სადილი გაუმართეს. სხედან სუფრასთან და მამა ეკითხება შვილს, რა გასწავლესო. ძალიან ბევრი რამო, – მიუგო შვილმა, ლოგიკაშიც დიდად გავიწაფეო, შემიძლია დაგიმტკიცო, რომ ამ მაგიდაზე დედამ რომ მოხარშული დედალი დადო, ის ერთი კი არა, ორიაო. მამამ უცებ შეაწყვეტინა, მე ამის დამტკიცება არ მჭირდება, მაგრამ იმ დედალს, რომელიც აქ დევს, მე შევჭამ და მეორე შენ მიირთვიო. სამწუხაროდ, ბიუჯეტთან დაკავშირებით დაახლოებით ასეთი სიტუაცია გვექნება...

3 რაც შეეხება საბანკო სფეროს და ფინანსური კონტროლის მექანიზმებს, აქაც სირთულეებია, რადგან ხელთ არ გვაქვს დოკუმენტი. ჯერჯერობით რაზეც არის საუბარი, არის ის, რომ **საბანკო ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოვიდეს ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან, რაც მე გაუგებრად მიმაჩნია და გეტყვით, რატომ. მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში საბანკო ზედამხედველობა მართლაც ცალკეა, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც ეს სამსახური ეროვნულ ბანკშია.** კარგით, ჩვენ ვირჩევთ განცალკევებულ მოდელს და მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ, უბრალოდ, არ მესმის, რატომ?! როცა რაღაც ინსტიტუტს ცვლი, ცვლი იმიტომ, რომ ის არის ან არაეფექტიანი, ან კორუფციული და პრობლემური. ასეთ დროს **მთავრობამ უნდა დაასაბუთოს, რა არის იმაში ცუდი, რომ საბანკო ზედამხედველობა იყოს ეროვნულ ბანკში, ანუ რა მოხდა ამ სფეროში ისეთი, რასაც ეროვნულმა ბანკმა ვერ გაართვა თავი** – რომელიმე კერძო ბანკი გაკოტრდა და ამან საბანკო კრიზისი გამოიწვია? კი, ბატონო, გაკოტრდა **„ინტელექტბანკი“,** მაგრამ ეროვნულმა ბანკმა ხომ გაართვა ამას თავი და არავინ დაზარალებულა. ახლა დადგა **„სტანდარტბანკის“** გაკოტრების საკითხი (არ ვაკეთებ კომენტარს, რამდენად კანონიერია ეს), მაგრამ ეროვნული ბანკი ხომ აკეთებს აქაც თავის საქმეს? გასარკვევია, ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკური დაკვეთა მიიღო თუ მის წინაშე რეალურად დადგა პრობლემა, რა შეეშალა მას? ხომ არ შეიძლება რეფორმა თვითმიზანი იყოს, ანუ **„რეფორმა რეფორმისთვის?!“** თუ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არის გაკეთებული, რომ საზედამხედველო ფუნქცია გამოვიდეს ეროვნული ბანკიდან, რათა შემდეგ იგი მავანი და მავანისათვის ადვილი გასაკონტროლებელი იყოს.

4 კიდევ ერთი კურიოზი, რომელზეც არ შეიძლია კომენტარი არ გავაკეთო, გახლავთ ბატონ **ბენდუქიძის „ბენდუნომიკის“** კიდევ ერთი მარგალიტი, რომელიც მან წარმოუჩინა ქართულ საზოგადოებას – თურმე კანონით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენი უნდა იყოს წლიური ინფლაცია და თუ ინფლაციის დონემ გადააჭარბა რაღაც ზღვრულ მაჩვენებელს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უნდა გადადგეს. მესმის, რომ **ბენდუქიძე „ბენდუნომიკის“** ფარგლებს ვერ გასცდება, მაგრამ საქართველო რატომ უნდა იყოს ამ ფარგლებში მოქცეული, არ ვიცი. შევეცდები, მარტივად ავუხსნა ჩვენს მკითხველს. ინფლაციას აქვს ძალიან ბევრი გამომწვევი მიზეზი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნულ ბანკს კანონშიც უწერია, რომ ფასების ზრდის პრობლემა მისი პრობლემაა. მაგრამ, იმავდროულად, ჩვენ ვიცით, რომ **გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებზე მოქმედებს გარე შოკები და ამ შოკებს განსაკუთრებით დიდი ეფექტი მცირე ზომის ქვეყნებისთვის აქვთ, განსაკუთრებით ისეთებისთვის, რომელთაც საკუთარი ენერგორესურსები არ გააჩნიათ.** დღეს მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ნავთობზე ფასების პერმანენტული ზრდის ტენდენცია, გაზის მომწოდებელი ძირითადი ქვეყნებიც თანდათან ზრდიან ტარიფებს (მარტო **„გაზპრომი“** რას აკეთებს!). ფასების ასეთი ზრდა მომავალშიც მოსალოდნელია. ისმის კითხვა – ასეთ პირობებში რა შიდა რესურსი აქვს ქვეყანას, რომ ფასების ზრდა შეაჩეროს? ღმერთმა დაიფაროს და, მორიგი კონფლიქტური სიტუაცია რომ შეიქმნას, ვთქვათ, ამერიკამ დაარტყას ირანს, ეს საკმაოდ ახლო სამარი მოქმედებები იქნება, თანაც ნავთობით და გაზით მდიდარ ქვეყანაზე, წარმოგიდგენიათ, ფასების როგორ ზრდას გამოიწვევს ეს ყველაფერი და რა შეუძლია ამ დროს საქართველოს, როგორ დაიცავს თავს (არაფერს ვამბობ სამხედრო პრობლემებზე, ვსაუბრობ წმინდა ეკონომიკურ მდგომარეობაზე)?! ახლა შიდა პრობლემები აიღეთ – **როცა ქვეყანაში**

> *გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებზე მოქმედებს გარე შოკები და ამ შოკებს განსაკუთრებით დიდი ეფექტი მცირე ზომის ქვეყნებისთვის აქვთ, განსაკუთრებით ისეთებისთვის, რომელთაც საკუთარი ენერგორესურსები არ გააჩნიათ.*

გყავს პოპულისტური და არაკომპეტენტური მთავრობა, რა მექანიზმები აქვს ეროვნულ ბანკს, რომ მთავრობის პოპულისტური ხარჯები აღკვეთოს? შეიძლება, უცებ, ვაუჩერები დაარიგოს მთავრობამ, ან ხელფასები და პენსიები გაზარდოს, ეროვნულ ბანკს ასეთ დროს ეკითხება ვინმე რამეს? ფორმალურად შეეკითხებიან და ფაქტობრივად, რასაც უნდა, იმას გააკეთებენ. ასეთ პირობებში საქართველოს ეროვნულ ბანკს, შესაძლოა, არ აღმოაჩნდეს ის საჭირო ინსტრუმენტები ხელთ და იმ ოდენობით, რომ ფასების შესაძლო ზრდა გაანეიტრალოს, უბრალოდ, ობიექტურად არ აღმოაჩნდეს. აქედან გამომდინარე, ხდება შემდეგი – **თუ ინფლაციური ზღვარი მართლაც კანონით განისაზღვრა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდება ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის რანგის მუშაკი, რომელიც მუდმივად უნდა შესაციინებდეს თვალებში ფინანსთა მინისტრს და პრემიერს, რაიმე ისეთი ხარჯები არ გასწიონ, რომლის გამოც, მერე ამან თანამდებობა არ დაკარგოს და სახელი არ გაიფუჭოს. ეს პრაქტიკულად ეროვნული ბანკის დაკნინებაა.** პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან დიდ პატივს ვცემ **დავით ამაღლობელს,** მაგრამ, სამწუხაროდ, ის არ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ის მხოლოდ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელია. ისე, ნახეთ, რა შესანიშნავი დროა გამოყენებული – **პრეზიდენტი არ არის და სწორედ ამ დროს ანგრევენ ეროვნულ ბანკს, რისთვის? იმისთვის, რომ მოგვიანებით, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დაინიშნება, როგორი ამბიციები და მაღალი პროფესიონალიზმიც არ უნდა ჰქონდეს, ის უკვე, ნებისმიერ შემთხვევაში, ყურებით იქნება დაჭერილი. ასე რომ, რეალურად, ამ თვალსაზრისითაც ძალიან ცუდი სიტუაცია გვაქვს.**

5 ნასროლია წინადადება, რომ 25%-იანი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წელს 1 იანვრიდან ამოქმედდა, შემცირდეს 15%-მდე. **მთავრობა მიხვდა, უფრო სწორად, იგი ნელ-ნელა აღიარებს, რომ ის, რაც გააკეთეს – 20%-იანი სოციალური გადასახადი გააუქმეს და საშემოსავლო 12-დან 25%-მდე გაზარდეს, იყო უაზრობა.** რა არის ეს შინაარსით – სოციალურ გადასახადს იხდიდა დამქირავებელი, 12% იყო დაქირავებულის გადასახადი. დამქირავებელს 20%-იანი გადასახადი მოუხსნეს, დაქირავებულს კი გაუზარდეს. აღიარეს რა ეს შეცდომა და გამოხატეს რა ვითომ კეთილი ნება, შემობრუნდნენ ხალხისკენ (თუმცა, 180 გრადუსით ვერ შემობრუნდნენ და საერთოდ შემობრუნდნენ თუ არა, ესეც საკითხავია), **ახლა ამბობენ, 25 უნდა ჩამოვიყვანოთ 15-მდე 5 წლის განმავლობაშიო, ესე იგი, ყოველი წელი 2 პროცენტული პუნქტით, არა?! ანუ ეს მაშინდელი სისულელის კომპენსაციისთვის კეთდება, ეს ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა!** ასეთი რამ არ მესმის და ამის წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის. სჯობდა ქვეყანაში გვქონოდა სოციალური გადასახადი 12%, საშემოსავლო გადასახადიც 12, დამქირავებელს და დაქირავებულს თანაბრად გაენაწილებინა საგადასახადო ტვირთი. ეს ჩემი მოგონილი არ არის და ასეცაა ეკონომიკურ თეორიაში ცნობილი, რომ საგადასახადო ტვირთი თანაბრად გადანაწილდეს საზოგადოების ყველა წევრზე.